ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ქალაქ გორში დაუგზუსტებელი საკადასტრო საგზღვრების მქონე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაგზუსტებას იწყებს

ახალი პროექტის დაწყებასთან დაკავშირებით მიწის მესაკუთრეებთან გაიმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა. შეხვედრას დაესწრებიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ქალაქ გორის თვითმმართველობის წარმომადგენლები.

დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მობრძანდეთ და მონაწილეობა მიიღოთ აღნიშნულ შეხვედრაში:

რიცხვი _____ საათი _____

შეხვედრის ადგილი _____

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ტელ.: _____

ელ-ფოსტა: info@napr.gov.ge

დაუზუსტებელი საკადასტრო საზღვრების მქონე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი სამუშაოები დამატებითი ხარჯის გარეშე, უფასოდ განხორციელდება, ვინაიდან ამ ხარჯს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო სრულად დაფარავს.

თითოეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს გადაეცემა:

- **საკადასტრო აზომვითი ნახაზის ქაღალდის და ელექტრონული ვერსია**
- **სამუშაოების დასრულების შემდეგ მომზადებული ოქმები და სხვა დოკუმენტაცია**

პროექტის ფარგლებში სამუშაოები 2000-მდე მიწის ნაკვეთზე ჩატარდება. შეგროვილი მონაცემები კი ელექტრონულ საკადასტრო რუკაზე აისახება.

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს 2006 წლამდე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული აქვთ მიწის ნაკვეთები, ვერ ხერხდება რუკაზე მათი იდენტიფიცირება, ვინაიდან ამ პერიოდში სააგენტო არ აწარმოებდა ელექტრონულ საკადასტრო რუკას და შესაბამისად მოქალაქესაც ნაკვეთის ელექტრონული საკადასტრო ნახაზის წარმოდგენა არ ევალებოდა, რამაც დროთა განმავლობაში გარკვეული პრობლემები შეუქმნა როგორც მოქალაქეს, ისე სახელმწიფოს.

2010 წლიდან საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისას აუცილებელია საკადასტრო აზომვითი ნახაზის ელექტრონული ვერსიის წარმოდგენა, რომელიც ერთიან საკადასტრო რუკაზე თავსდება. შესაბამისად, რუკაზე ხვდება იდენტიფიცირებული ნაკვეთის ადგილი, საზღვრები, ფართობი და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ერთიანი საკადასტრო ბაზაა შექმნილი, კვლავაც არსებობს ძველ მონაცემებთან დაკავშირებული პრობლემები, რომელთა აღმოფხვრასა და სრულყოფაზე, დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირებასა და მათი ელექტრონული მონაცემების შექმნაზე აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

უძრავი ქონების მესაკუთრეების თანადგომის და დაინტერესების შემთხვევაში, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით, უძრავი ქონების საკადასტრო საზღვრების დაზუსტების პროექტი წარიმართება მესაკუთრისათვის მაქსიმალურად მისაღებ პირობებში.